ოქმი:**ო37.37213631**
თარიღი:**29/12/2021**

ოქმი #2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 27 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

12^{00} – 13^{00} საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ნ.გოლიაძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, პ.კიღურაძე, ბ.თოიძე, ქ.ხომერიკი, დ.ჭაკნელიძე, მ.ჩხიკვიშვილი, ალ.ბურჭულაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

მომხსენებელმა, ხაზი გაუსვა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების შრომის ანაზღაურების გაზრდის თაობაზე, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მნიშვნელობას სახელმწიფო და საჯარო დაწესებულებებში კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების შენარჩუნებისათვის კერძო სექტორის გაძლიერებული კონკურენციის პირობებში.

2. ,,ღია მართველობა-პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის ფარგლებში სამოქმედო გეგმისა და მონიტორინგის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში წევრთა დამატება-გადანაცვლების თაობაზე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მომართვის შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: პაატა კიღურაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ პ.კიღურაძემ ბიუროს მოახსენა, რომ კომისიაში შემოვიდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ განცხადება მისი წევრების საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში დამატება-გადანაწილებაზე კერძოდ: მარინა ვაშალომიძემ ითხოვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში გაწევრიანება, დავით მდინარაძემ -საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში გადანაცვლება, ამავე კომისიის წევრობა სურს გოჩა კილაძესაც, კომისიის თავმჯდომარის ეს განცხადება ბიურომ მიიღო ცნობად.

გადაწყვიტეს:

1.დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. მუდმივმოქმედ კომისიებში წევრთა ზემოთაღნიშნული ცვლილებები მიღებულ იქნას ცნობად.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ფრაქცია „ოზურგეთი საქართველოსათვის“თავმჯდომარემ ალ.ბურჭულაძემ გააკეთა განცხადება, რომ მუნიციპალიტეტის პრობლემების განხილვა-გადაწყვეტისას ფრაქცია მხარს დაუჭერს უმრავლესობას, თუმცა ზოგიერთ საკითხებში ვერ დაეთანხმება მათ გადაწყვეტილებებს, რაც შეეხება ხელფასების გაზრდას პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეებისათვის -ფრაქციას მიაჩნია უკეთესი იქნებოდა ეს თანხები მოხმარებოდა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანების დახმარებას.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი